ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ბატონო ზაალ,

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული მოქალაქე მანანა ქათამაძის (პ/ნ - 46001020325) 2015 წლის 18 დეკემბრის #3348 განცხადების (თან ერთვის) საფუძველზე, სადაც აღნიშნულია, რომ მას სურვილი აქვს აიღოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. შუაფარცხმაში მდებარე N1 შენობა-ნაგებობა (ახალგაზრდული სახლი) და მასზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - 28.03.22.080), რომლის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემის შემთხვევაში დაუყონებლივ განხორციელდება მცირე სამეწარმეო საქმიანობა (სამკერვალო).

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გთხოვთ, განიხილოთ საკრებულოს სხდომაზე და მოგვცეთ თანხმობა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფ. შუაფარცხმა) მდებარე 255.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – №28.03.23.080) განთავსებული N1 შენობა-ნაგებობაში არსებული 10,8 კვ მ არასაცხოვრებელი ფართის (თანდართული გეგმა თან ერთვის) იჯარის ფორმით აუქციონის წესით გაცემის თაობაზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის მიზნით დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის (საწყისი საპრივატიზებო საფასური - 9240 (ცხრაათასორას ორმოცი) 5%-ის ოდენობა შეადგენს 462 (რვაას ერთი ათასი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარს, ხოლო N1 შენობა-ნაგებობაში არსებული 10,8 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვროს 173 (ას სამოცდაცამეტი) ლარით.

დანართი 14 ფურცელი.

პატივისცემით,